პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

2 ივნისი პარასკევი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 128 (15341)

ქუთაისის ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკის კოლექტივმა ფართოდ გაშალა შეჯიბრება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის და წლის დასაწყისიდან გამოუშვა 450 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. შეჯიბრებაში თავი ისახელა მრთველმა მზია ზვიადაძემ. იგი ცვლის დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს და საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებს. სურათზე: მ. ზვიადაძე.

გ. გერსამიას ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მკა კარზე მოგვადგა

ველევ რამდენიმე კვირა, და კარს მოგვადგება თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების სეზონი. ამიტომ, ხანამ გვიან არ არის, ამ დიდად პასუხსაგებ პეროდს ყოველმხრივ მომზადებული უნდა შეეხვედეთ. ამას კარგად ითვალისწინებენ ჩვენი რესპუბლიკის მზვნელ-მოეხველები, მექანიზატორები, სპეციალისტები და ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება. ისინი იბრძვიან დევიზით: „დროულად მოვემზადოთ მოსავლის აღებისათვის! უზრუნველვყოთ მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის მოსავლის შემჩიდროებულ გადებში უდანაკარგოდ აღება! ახალი წარმატებებით შეეხვედეთ სსრ კავშირის შექმნის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს!“

დასახული ამოცანების სასახელოდ გადაჭრაში ნოყიერ მშრომელებმა, ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა მტკიცედ უნდა იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ამ დღეებში მიღებული დადგენილებით — „1972 წლის მოსავლის აღებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილებაში დასახულ კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელება მოითხოვს გონივრული ნაბიჯების გადადგმას, რამაც უნდა განაპირობოს მკის დროულად დამთავრება, მარცვლეულის წარმოებისა და დამზადების დავალებათა გადაჭარბებით შესრულება.

უნდა გვახსოვდეს, რომ მოსავლის აღება სეზონური საქმეა. ამ საქმეში ოდნავი თვითდამშვიდება დიდ ზიანს მიაყენებს დასახული ამოცანების შესრულებას. სოფლად ეს სამუშაო ყველაზე დაძაბული დროა. სწორედ ამ პერიოდში ჯამდება მხვნელ-მოეხველთა შრომის შედეგები. აქ ნათლად გამოჩნდება, ვინ როგორ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, ვინ უფრო გამოიჩინა თავი დამკვრელური შრომით. საჭიროა მოსავლის ასაღები კონვეიერის ყველა რგოლი ზუსტად მუშაობდეს. ეს უნდა გავითვალისწინოთ მკის გეგმა-გრაფიკის შედგენის დროს.

მკისათვის მზადებას სათავეში უნდა ჩაუდგნენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები. აუცილებელია წინასწარ განვაზიდეროთ ძალებისა და სახსრების განლაგება, ყველა პირობა შეექმნათ მინდვრად მომუშავეთა ნაყოფიერი შრომისა და დასვენებისათვის, სრულყოფილად გამოვიყენოთ მატერიალურ-ტექნიკური საშუალებანი, სამაგულო ტექნიკა, მტკიცედ განვახორციელოთ მექანიზატორთა მატერიალური და მორალური სტიმულირების პრინციპები.

რესპუბლიკის მხვნელ-მთესველებმა შარშან შემოდგომაზე აგროტექნიკურ ვადებში დათესეს თავთავიანი მარცვლეული კულტურები, მართალია, ხანგრძლივმა და მკაცრმა ზამთარმა ერთგვარად ხელი შეუშალა ნათესების ნორმალურ განვითარებას, ზოგან კი აღმონაცენი დაზიანდა, მაგრამ ძირითადად ჯეჯილების მდგომარეობა კარგია. ბევრგან უკვე იგი დაპურებას იწყებს და მალე მოუბმობს მომკელებს. წელს მოსავალი ასაღებია ათეულ ათასობით ჰექტარზე და წარმატების ბედს უთუოდ გადაწყვეტს ტექნიკის გონივრულად გამოყენება და მექანიზატორების შემართება.

მოსავლის აღების პერიოდში იმუშავებს ათასობით კომბაინი, ტრაქტორი, ავტომანქანა და სხვა სატრანსპორტო საშუალებანი. ამიტომ დიდი მუშაობა მოელით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, საქსოფლტექნიკის რაიონულ განყოფილებებს, ნავთობპროდუქტების ბაზებს, სათანადო სამინისტროებსა და უწყებებს. საქმე ეხება იმას, რომ მთელი ტექნიკა შეუფერხებლად ვამუშაოთ. ამისათვის ამთავითვე უნდა გავითვალისწინოთ კომბაინების, სატვირთო ავტომანქანებისა და სათადარიგო ნაწილების, მოწყობილობისა და სხვა მასალების დროულად დანაშნულებისამებრ მიწოდება.

საქმის ცოდნით მოვიფიქროთ ტექნიკის (კომბაინების, ავტომანქანებისა და ტრაქტორების) ორ ცვლად მუშაობის ორგანიზაცია. მექანიზატორთა კადრების დაკომპლექტება.

ამ მხრივ დიდი მუშაობა მოუწდებათ პურეულის მარცვლის მწარმოებელ ყრილოელებს, სინაღელებს, საბარეულოს, გარდაბნის, მარნეულის, ყვარლის, თელავის, თეთრი წყაროს, ლაგოდეხის, ახმეტის, გორის, მცხეთისა და მთელ რიგ სხვა რაიონებს. დრო ცოტა დარჩა. საჭიროა გულდასმით შემოწმდეს მოსავლის აღებისათვის მზადების მიმდინარეობა: მზად არის თუ არა მთელი ტექნიკა მკისათვის, როგორია ტექნიკის შეკეთების ხარისხი. ეს მით უფრო საჭიროა, რომ შარშან ზოგან ადგილი ჰქონდა კომბაინების მოცდენებს ამა თუ იმ ნაწილის უწესრიგობის გამო.

ზოგან კი კომბაინერები არდაველოდნენ მკის წესებს — კომბაინებს ამუშავებდნენ დაუმზადებელ მალალ ჭრაზე. იყო მარცვლეულის დანაკარგებიც.

მოსავლის აღების დაწყების პირველი დღეებიდანვე გამართულად უნდა მუშაობდნენ კალოები, ხაშრობები, მექანიზებულ საწყობები, ესკავატორები. სანიმუშოდ მოვუაროთ ხვავს, გავწმინდოთ და საკმაო რაოდენობით გამოვყოთ სათესლე მასალა, დროულად შევასრულოთ პირველი მცნება — მარცვლეულის დამზადების ბგმა. უზრუნველვყოთ მარცვლის სანიმუშოდ შენახვა.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები, დამამზადებელი ორგანოები მოვალენი არიან გაანახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი მკის და მარცვლეულის დამზადების გეგმების შესრულებისათვის. ამ საყოველთაო-სახალხო საქმის წარმატებაში დიდი მნიშვნელობა აქვს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლას. აგიტატორებმა, პოლიტინფორმატორებმა, პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ თავიანთი ღირსეული წვლილი უნდა შეიტანონ მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის ლაშქრობაში.

ახლა საქმე ის არის, რომ შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი შესრულებისათვის ფართოდ დავრაზმოთ მასები. უნდა გვახსოვდეს: შეჯიბრებას მაშინ მოაკვს კარგი შედეგი, როცა პარტიული ორგანიზაციები მას წარმართავენ ყოველდღიურად, საქმის ცოდნით. კვლავაც ახალი ძალით ავამოქმედოთ გამოუყენებელი რეზერვები, შეესძლებლობანი, ხელი შევუწყოთ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების შემდგომ განვითარებას და ამ საფუძველზე პარტიის XXIV ყრილობის გადწყვეტილებანი სახალხოდ განხორციელებას.

სანიმუშოდ მოვემზადოთ და მოვაყოთ პურეულის მოსავლის უდანაკარგოდ აღება. შევქმნათ მეცხოველეობისათვის საკვების საიმედო მარაგი. მივცეთ საშუალება მეტი მარცვლეული და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები!

ლ. სვოგოდა კიევში

კიევი, 31 მაისი. (საკდესი). დღეს კიევში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი **ლუდვიკ სვობოდა**, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის წოწვევით ისვენებს საბჭოთა კავშირში.

გაიმართა გულთბილი, მეგობრული შეხვედრა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

დელეგაცია ბრიუსელში გაემგზავრა

31 მაისს მოსკოვიდან ბრიუსელში გაემგზავრა ევროპის უშიშროებისათვის მებრძოლი საბჭოთა კომიტეტის დელეგაცია კომიტეტის თავმჯდომარის — სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარის ა. პ. შიტიკოვის ნეთაურობით, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის მებრძოლი საზოგადოებრივი ძალების ასამბლეაში. (საკდესი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების შედეგების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის **ლ. ი. ბრეჟნევის** ინფორმაცია საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის მოლაპარაკების შედეგების შესახებ, სავსებით მოიწონეს ის დიდი მუშაობა, რომელიც საბჭოთა კავშირის დელეგაციამ გასწია მოლაპარაკებზე.

საბჭოთა ხელმძღვანელების — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევის**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ **ნ. ვ. პოდგორნის**, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ **ა. ნ. კოსიგინის** მოლაპარაკებას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან **რ. ნიქსონთან** 1972 წლის 22-დან 30 მაისამდე სსრ კავშირში მისი ვიზიტად ყოფნის დროს, ამ მოლაპარაკების დროს ხელმოწერილ ერთობლივ დოკუმენტებს უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს და არსებით ნაბიჯს წარმოადგენენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის განვითარებაში, ხელს უწყობენ სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის განმტკიცებას, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმეს.

მოსკოვში მიღებული დოკუმენტი — „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის საფუძვლები“ — საერთაშორისო-სამართლებრივ წანამძღვრებს ქმნის იმისათვის, რომ ორივე მხარისთვის საინტერესო ყველა დარგში მათ შორის კავშირ-ურთიერთობა და თანამშრომლობა ემყარებოდეს მტკიცე, ხანგრძლივ საფუძველს, მესამე ქვეყნებისათვის ყოველგვარი ზიანის მიუყენებლად. ამ პრინციპების თანამიმდევრული შესრულება ორივე სახელმწიფოს პოლიტიკურ პრაქტიკაში ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის შემდგომ ნორმალიზაციისა და მთელი საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას.

სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ხელშეკრულების დადება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ და დროებითი შეთანხმების დადება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის დარგში ზოგიერთი ღონისძიების შესახებ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა, რომელიც ხელს უწყობს ატომური ომის საფრთხის შენელებას, გამალებული შეიარაღების შეკავებას და სახავს საყოველთაო განიარაღებისკენ წინსვლის პერსპექტივებს. იგი შეესაბამება საბჭოთა და ამერიკელი ხალხების და მთელი კაცობრიობის ინტერესებს.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებანი გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის, კოსმოსის დარგში, მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგში თანამშრომლობის შესახებ და მთელი რიგი სხვა შეთანხმებანი შეესაბამებიან როგორც ორივე სახელმწიფოს ინტერესებს, ისე ადამიანის უშუალო ცხოვრებისეულ მოთხოვნილებებს, სავსებით ემსახურებიან მშვიდობიან მიზნებს. საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს ამერიკის შეერთებულ შტატებთან სავაჭრო, ფართო ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას და მიიჩნია, რომ ამ დარგშიც შესაძლებელია ურთიერთხელსაყრელი გადწყვეტილებების გამონახვა.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ წრეებში ევროპის უშიშროებისათვის ხელსაყრელ ფაქტორად მიიჩნიათ, რომ სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ერთნაირად აფასებენ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 1970 წლის 12 აგვისტოს ხელშეკრულების პოზიტიურ მნიშვნელობას, ორმხრივ შეთანხმებას იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება ბერლინის დასავლეთ სექტორებს, რომ ორივე მხარე მზად არის შესაბამისი წვლილი შეიტანოს ვითარების გაუმჯობესების მიმდინარე პროცესსა და ევროპის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარებაში, სრულიად ევროპის თათბირის მომზადებასა და მოწვევაში.

მოლაპარაკების დროს მხარეებმა დაადასტურეს, რომ მშვიდობიანი მოწესრიგება ახლო აღმოსავლეთში უნდა განხორციელდეს უშიშროების საბჭოს № 242 რეზოლუციის თანამიმდევრული შესრულების საფუძველზე, ხაზგასმით აღინიშნა, რომ უცვლელია საბჭოთა კავშირის პოზიციები არაბი ხალხების სამართლიანი საქმის მხარდასაჭერად და მზად არის აქტიურად შეუწყოს ხელი უშიშროების საბჭოს აღნიშნული რეზოლუციის შესრულებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი ორგანოები მთლიანად უჭერენ მხარს იმ თანამიმდევრულ, მტკიცე პოზიციას, მოლაპარაკებაზე რომ დასახა საბჭოთა დელეგაციამ ვიეტნამსა და ინდოჩინეთის სხვა ქვეყნებში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის გამო, რომელიც გრძელდება. საბჭოთა ქვეყნის სოლიდარობა ვიეტნამელი ხალხის გმირული ბრძოლისადმი კვლავინდებურად ურყევი იქნება.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების შედეგებმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ თანამედროვე პირობებში სადავო საერთაშორისო საკითხები ვერ გადაიჭრება „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის მეთოდებით. მათი მოწესრიგება შესაძლებელია და კიდეც უნდა მოწესრიგდეს მოლაპარაკების გზით, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს მხარეების თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების, ერთმანეთის ინტერესების პატივისცემის პრინციპი, საერთაშორისო ურთიერთობაში სხვადასხვა სოციალური წყობილების მქონე დიდი თუ პატარა სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის საყოველთაო დამკვიდრება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდი კმაყოფილებით აღინიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სწორი, ლენინური პოლიტიკისა და საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომის მეოხებით დღენიადაგ ძლიერდება საბჭოთა კავშირი, რაც შეესაბამება მსოფლიო სოციალიზმის ინტერესებს, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას.

გამომჩრელ გ. რიმნისთაველის ინიციატივის პირველი შედეგები

მომჭირნეობა სიმდიდრის წყაროა

თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის ტყავის საკირის გამომჭრელი საამქროს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ხუთწლედის ყოველი წლის ბოლო ოთხ დღეს საწარმო ამუშაოს დაზოგილი საკირე ტყავით

საიუბილეო წლის დასაწყისში, როცა რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის მეორე წლის გეგმის შესრულებისა და სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის ნოვატორმა ტყავის საძირის გამომჭრელმა **გ. რიმნისთაველმა** ვალდებულება იკისრა წლიურად დაზოგოს 20 ათასი კვადრატული დეციმეტრი ტყავი და დაზოგილი ნედლეულისაგან საწარმოს მისცეს 5.000 წყვილი ფეხსაცმლისათვის საჭირო საძირე. მან განაცხადა, რომ თუ მხარს დაუჭერენ მისი თანამოსაქმეები, საწარმოს შეუძლია საიუბილეო წლის ბოლო ოთხ დღეს დაზოგილი საძირე ტყავით იმუშაოს.

მას შემდეგ ოთხ თვეზე მეტი გავიდა. გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ესტუმრა ინიციატორ გ. რიმნისთაველს და სთხოვა მოეთხრო მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიმდინარეობისა და იმის შესახებ, თუ როგორი გამოხმაურება ჰპოვა მისმა თაოსნობამ სხვა გამომჭრელებში, როგორ სრულდება პირობა და რა გზით.

რიმნისთაველი მოგვითხრობს:

— როცა ვალდებულებას ვკისრულობდი, მის შესრულებაში ეჭვი არ მეპარებოდა. მუშამ ყველაზე უკეთ იცის თავისი რეზერვები. როცა დაპირებას ვიძლეოდი, ეკონომიის ყველა შესაძლებლობა არ გამითვალისწინებია, მარაგი მუდამ უნდა მოიტოვო. ვფიქრობ, ყველა ნოვატორი ასე იქცევა, ვინაიდან მუშაობაში ბევრ სიძნელეს აწყდება კაცი. რა არის საჭირო? პირობის შესრულებისათვის?

პირველი. მაღალი პასუხისმგებლობა, საქმის სიყვარული და ოსტატობა. თუ ერთხელ მიღწეულს დასჯერდი და უკეთესი შედეგებისათვის ყურადღება მოადუნე, შეიძლება ვალდებულება კი არა, გეგმაც ვერ შეასრულო, თავი შეიჩხვინო.

მეორე. მთავარია შრომითი კოლექტივის ერთსულოვნება, მეგობრობა, ერთმანეთისადმი დახმარება. ერთი მუშის მაღალნაყოფიერი შრომა საწარმოში ამინდს ვერ შექმნის. მთავარია მივაღწიოთ იმას, რომ კოლექტივის თვითეული წევრის შრომის ნაყოფიერება ავიყვანოთ ნოვატორთა დონეზე, ვისწავლოთ აყირაოთანად და მომჭირნედ მუშაობა. უნდა ვიყოთ საკუთარი თავისა და სხვებისადმი ბკაცრი მომთხოვნენი. სადაც ამას აკეთებენ, იქ დაპირების შესრულებაც ვარდუვალია.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ბროდოკავშირთა XV ყრილობაზე თქვა: თუ ჩვენ ვერ ვისწავლით გუშინდელზე უკეთ მუშაობას, ვეგმა უაღრესად დაძაბული აღმოჩნდება, ხოლო თუ ვისწავლით, მივაღწევთ უფრო მეტსაც, ვიდრე ვეგმით არის გათვალისწინებული... ყველა ჩვენი ეგმის შესრულების წარმატებათა საწინდარია მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის ამაღლება, დაძაბული და კეთილსინდისიერი შრომა.

საძირე ტყავის საგამომჭრელო საამქროში, სადაც 22 კაცი მუშაობს, ზუსტად ვიცავთ ყველა იმ საყოველთაოდ ცნობილ დებულებას, რომლებზეც ზემოთ მოგახსენეთ. და სწორედ ეს გვიწყობს ჭგლს დანაპირების შესრულებაში.

პირობის განაღდებისათვის დაძაბულ შრომაში თითქმის ხუთი თვე გავიდა. დაინტერესდით, როგორ სრულდება ნაკისრი ვალდებულება. ნორმადარებმა პირველად, როგორც ინიციატორის, ჩემი მუშაობის შედეგები დაიანგარიშეს. **ეგეგმით ყოველდღიურად 6.000 კვადრატული დეციმეტრი საძირე ტყავი უნდა გამომეჭრა, ფაქტიური შესრულების მაჩვენებელმა 7.000 კვადრატულ დეციმეტრს გადააჭარბა.** როცა დახარჯული ტყავის რაოდენობა გამოსავლიანობასთან შეადარეს, გამოირკვა, **რომ ყოველდღიურმა ეკონომიამ 240 კვადრატული დეციმეტრი ტყავი შეადგინა.** ხუთი თვის ეს შედეგები უკვე ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ნაკისრი ვალდებულებას გადაჭარბებით შევასრულებ. **ვვარაუდობ 20 ათასის ნაცვლად წლის ბოლომდე 36 ათასი კვადრატული დეციმეტრი ძვირფასი საძირე ტყავი დავზოგო, საიდანაც თავისუფლად შეიკერება 6.000 წყვილი მამაკაცის ფეხსაცმელი.**

შემდეგ მთელი საძირე ტყავის საგამომჭრელო საამქროს ყველა მუშის შედეგები დაკრიბეს. აქაც საუკეთესო შედეგები მიეღოთ. **თვითეულ გამომჭრელზე ეკონომიამ 200 კვადრატული დეციმეტრი შეადგინა. ეს იმას ნიშნავს, რომ წლიური ეკონომია 20 ათას კვადრატულ დეციმეტრს გადააჭარბებს.** ახალი **უკარაოთანი შრომით მთლიანად საამქრო წლის ბოლომდე 440 ათას კვადრატულ დეციმეტრ ტყავს დაზოგავს, საიდანაც 110 ათასი წყვილი მაღალხარისხოვანი ფეხსაცმლისათვის ტყავის ლანჩი გამოიკრება. ეს კი მთელ ფაბრიკას 4 დღეს ეყოფა.**

შედეგები საამქროს კოლექტივის კრებაზე განვიხილეთ. ახლა ეჭვი აღარავის ეპარება ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში. პირიქით, დავრწმუნდით რა დანაპირების შესრულებაში, **გადავწყვიტეთ არა მარტო საიუბილეო წლის ბოლო ოთხ დღეს ვიმუშაოთ დაზოგილი ნედლეულით, არამედ მეცხრე ხუთწლედის ყოველი წლის ბოლო ოთხ დღეს საწარმო ვამუშაოთ დაზოგილი საძირე ტყავით.** ეს იქნება ჩვენი ღირსეული წვლილი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში.

ვინ არის გ. რიმნისთაველი, როგორ დაიწყო მისი შრომითი ბიოგრაფია? საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი სავალდებულო სამხედრო სამსახურში წავიდა. დემობილიზაციის შემდეგ თბილისის საავტომობილო საწარმოში მუშად დაიწყო მუშაობა. 1963 წელს თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკას მიაკითხა. მოწაფედ მიიღეს საგამომჭრელო საამქროში. ახალგაზრდამ საქმეს მალე აუღო ალღო და მოწონაც გამომჭრელთა მწყობრში ჩადგა. გადიოდა დრო, გ. რიმნისთაველი ყოველღიურად სრულყოფდა ოსტატობას, მუდამ ახლის ძიებაში იყო. მონდობებამ და მუყაითმა შრომამ თავისი გაიტანა, გივემ ნოვატორი გამომჭრელის სახელი დაიმკვიდრა. პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დააფასეს ახალგაზრდის შემოქმედებითი და თავდადებული შრომა. მერვე ხუთწლედის წარმატებით შესრულებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების გადაჭარბებით განაღდებისათვის გივი რიმნისთაველი შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოეს.

მოვიდოდის აზალი გამარჯვება

ქალთაგრიბის ინტერესებისათვის

საქართველოს მეცნიერები მხურვალედ იწონებენ მოსკოვში ხელმოწერილ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებებს. ამ შეთანხმებებმა დაისახეს სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ახალი პერსპექტივები, მნიშვნელოვნად შეუწყეს ხელი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

მოლაპარაკების დროს მიღწეული შეთანხმება მკაფიოდ მოწმობს სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამის წარმატებით განხორციელებას. ეს ახარებს ყველას, ვისთვისაც მახლობელი და ძვირფასია მშვიდობის საქმე.

დ. თაგხელიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

დიდი მნიშვნელობის მოვლენა

ჩვენი საწარმოს მუშა-მოსამსახურეები უდიდესი ყურადღებითა და ინტერესით ადევნებდნენ თვალს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. ნიქსონის მოლაპარაკებას. ყველას გვახარებს, რომ მოლაპარაკებამ წარმატებით ჩაიარა. ორ დიდ სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი ხელს შეუწყობენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულებას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ და დროებით შეთანხმებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის დარგში ზოგიერთი ღონისძიების შესახებ. ეს სერიოზული ღონისძიებანი შეესაბამებიან მსოფლიოს ყველა ხალხთა ინტერესებს.

ჩვენ მხურვალედ ვუჭერთ მხარს იმ დიდმნიშვნელოვან მეცადინეობას, რასაც ეწევა საბჭოთა კავშირი, რომელიც თანმიმდევრულად ახორციელებს სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახულ სამშვიდობო პროგრამას.

რ. სოკურაშვილი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მკერავი

ჩაის ვლანტაციებში

მათ მეგობრობა აკავშირეს

ბალის რაიონის შეშელეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ერთმანეთის მხარდამხარ თავდადებულად შრომობენ რუსი, სომეხი, აფხაზი, აზერბაიჯანელი, ქართველი მეჩაიეები.

გალინა ნოხულჩაკი, რომელსაც ამ სურათზე ხედავთ (მარცხნივ), ხუთ წელზე მეტია მეურნეობაში მოწინავე მეჩაიედ ითვლება. მას ყოველწლიურად მომყავს ჩაის უხვი მოსავალი. აქ ჩამოსულის პირველი დღიდანვე გაიცნო რაიონში ცნობილი მეჩაიე, ლული ზუხუბაია (სურათზე — მარჯვნივ), დაუმეგობრდა მას, ჩაება მასთან შეჯიბრებაში და ორივე სიტყვას საქმით ამშვენებს.

მეცხრე ხუთწლედის მეორე წელს გალინა და ლული ოთხ-ოთხი ტონა ჩაისათვის იბრძვიან. ისინი ყოველდღიურად 70-80 კილოგრამ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს კრეფენ.

დ. ჩაკაბერია,
მეურნეობის პარტიბიუროს მდივანი.

საერთაშორისო დღის წესრიგი

თანამედროვეობის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა

მოსკოვი. პრესა კვლავ გაცხოველებით განიხილავს მოსკოვის მოლაპარაკების შედეგებს, ხაზგასმით აღნიშნავს მათ ისტორიულ მნიშვნელობასა და იმ დოკუმენტების კონსტრუქციულ ხასიათს, რომლებსაც ხელი მოაწერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა.

დელი

ინდოეთის კომუნისტური პარტია მიესალმება ლ. ი. ბრეჟნევისა და რ. ნიქსონის მიერ ხელმოწერილ შეთანხმებებს და მიიჩნევა ისინი დიდმნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად. არა მარტო ხალხთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყნის საერთაშორისო უშიშროებისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარების უზრუნველყოფის გზაზე, ნათქვამია განცხადებაში, რომელიც ინდოეთის კომპარტიის ეროვნული ხაბჭოს გენერალურმა მდივანმა რაჯეშვარ რაომ გამოაქვეყნა.

ინდოეთის კომუნისტებს მიაჩნიათ, აღნიშნულია შემდეგ განცხადებაში, რომ ხაბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების ხელმოწერა არის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის იმ პოლიტიკის გამარჯვება, რომელსაც ხაბჭოთა კავშირი აწარმოებს სკკპ XXIV ყრილობის დელეგატების მიერ მოწონებული ხამშვიდობო პროგრამის შესრულების დროს.

ვაშინგტონი

„ხაბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებისათვის, — წერს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი", — ეს კარგი კვირა იყო. მათ მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი. ამ მიღებას წუნს ვერ დადებ. ხელი მოაწერინეს მთელ რიგ დოკუმენტებზე, რომელთა დადებაც დიდი ხანია სურდათ, არ დათმეს არაფერი, და ბოლოს, მიადწიეს იმ ფაქტის აღიარებას, რომ სსრ კავშირი ისევე ძლიერია, როგორც შეერთებული შტატები".

ვაშინგტონის მინისტრმა პ. პიტერსონმა აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მოსკოვის მოლაპარაკების შედეგად დასახულ ხაბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ვაშინგტონის განვითარების პერსპექტივებს. მოსკოვში, თქვა მან, მოხდა შეთანხმება ძნელ ეკონომიურ და სავაჭრო საკითხებში, რომლებიც 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ორი ქვეყნის წინაშე.

პარიზი

„მონდი" ხაზგასმით აღნიშნავს „შეერთებული შტატების თანხმობის მნიშვნელობას იმაზე, რომ უკვე ახლა დაიწყოს მრავალმხრივი მზადება უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე ევროპის თათბირისათვის".

უმაღლეს დონეზე მოსკოვის თათბირის შემდეგ, წერს გაზეთი, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყველა წინააღმდეგობა მოთხსნა და ნატოს ხაბჭოს სესიის შემდეგ მოეწყობა თათბირები მონაწილეთა მეტი რაოდენობით. ეს ნიშნავს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობაში თავის ადგილს მიიღებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკაც.

ლონდონი

„დეილი ტელეგრაფის" მოსკოველი კორესპონდენტი წერს: „რუსებმა რამდენიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური გამარჯვება მოიპოვეს. მათ მიაღწიეს ევროპის უშიშროების საკითხებზე თათბირის მხარდაჭერას, რომელსაც ისინი ამ ბოლო ხანს ენერგიულად ესწრაფვიან. მათ მიიღეს შეთანხმება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

სსრ კავშირს შეუძლია განაგრძოს თავისი მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა, რომელიც ნაყლებ ფინანსურ ტვირთად დააწვებათ, ვიდრე ცივი ომი, და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მალე განმტკიცდება ორი ქვეყნის საკავშირო და ეკონომიური ურთიერთობა".

ბონი

დასავლეთგერმანელი კომუნისტები მიესალმებიან ხაბჭოთა კავშირ-ამერიკის მოსკოვის მოლაპარაკების შედეგებს. ლ. ი. ბრეჟნევისა და რ. ნიქსონის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტებს დიდი მნიშვნელობა აქვთ მშვიდობის განმტკიცებისათვის, ატომური ომის საფრთხის ლიკვიდაციისათვის სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა თანაარსებობის პრინციპების განხორციელებისათვის, ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ გერმანელთა კომუნისტური პარტიის გამგეობის პრეზიდიუმის განცხადებაში.

(ხაკდესი).

ბრძოლები ინდოჩინეთში

ნიუ-იორკი. 1 ივნისი. (ხაკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო-შეიარაღებული ძალები კვლავ უტევენ მოწინააღმდეგის ქვეგანაყოფებს კონტუმში ცენტრალურ პლატოზე. წუხელ პატიოტებმა რაკეტები და არტილერიის ცეცხლი დაუშინეს საიგონის ჯარების გამაგრებულ პოზიციებს ამ ქალაქში.

იუწყებიან, რომ ხელჩართული ბრძოლა იყო აეროდრომის გარშემო და კონტუმის ბოელ რიგ რაიონებში. მარიონეტი „პრეზიდენტი" თხიეუ, რომელიც გუშინ კონტუმში ჩაფრინდა, ძლიერად ეშინოდა, ასსრფოდ დაეტოვებინა იმ ნაწილების საკომანდო პუნქტი, რომლებიც ქალაქს იცავენ. თხიეუ იქ ნახევარ საათზე ცოტა ხანს იყო.

შეუპოვარი ბრძოლები მიმდინარეობს 30 კილომეტრზე ჰიუეს ჩრდილოეთით მდინარე მიტიანის სამხრეთ ნაპირზე, აგრეთვე „ბრმინშვეიმის" და „კინგის" სამხედრო ბაზების გარშემო, 19 კილომეტრზე ჰიუეს სამხრეთ-დასავლეთით.

ბანკოი. 1 ივნისი. (ხაკდესი). სამხრეთვიეტნამელმა პატიოტებმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს ოპერაციებში № 18 გზაზე (საიგონი-ანლოკი). იუწყება განთავისუფლების პრესის სააგენტო.

ყველაზე სამხრეთ პროვინცია კამაუში 12-19 მაისს განთავისუფლების ძალებმა მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 220-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, დანგრიეს საიგონის ჯარების ორი გამაგრებული პუნქტი.

სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფები უტევენ საიგონის რეჟიმის სამხედრო ფლოტს მეკონგის დელტის შენაკადებსა და არხებში.

20-27 მაისს განთავისუფლების ძალები ბრძოლებს აწარმოებდნენ კონტუმისა და პლეიკუს შორის მდებარე № 14 გზაზე, ფუშავდნენ საიგონის ჯარების ცდებს — კვლავ დაემყარებინათ კონტროლი ამ დიდმნიშვნელოვანი მაგისტრალისადმი.

ლაოხელი პატრიოტები აქტიურად იბრძვიან მემარჯვენე ძალების წინააღმდეგ. ბანგკოთან (ბოლოეკენის პლატოს კომუნიკაციების დიდმნიშვნელოვანი კვანძი) გამართულ ბრძოლებში მათ მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის ასამდე ჯარისკაცი. პატრიოტული ძალები უტევენ აგრეთვე მოწინააღმდეგის პოზიციებს ლუანგპრაბანგის პროვინციასა და ქვეყნის სხვა რაიონებში.

წარმატებით დამთავრდა მშრალი სეზონი კამბოჯის პატრიოტული ძალებისათვის. 1971 წლის ოქტომბრის დამდეგიდან 1972 წლის მაისის დამდეგამდე მათ მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 56 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის 4 ათასზე მეტი საიგონელი ინტერვენტი. მათ ხაბრძოლო ანგარიშზეა 165 განადგურებული ტანკი, 72 თვითმფრინავი და ვერტმფრინავი, იუწყება აკის საახენტო. პატრიოტებმა გაათავისუფლეს ვრცელი ტერიტორია, რომელშიც შედის მეკონგის დასახლებული და ბრინჯით ნდიდარი კამბოჯის სამხრეთისა და აღმოსავლეთის პროვინციები.

ამერიკის ავიაციამ 30 მაისს დაბომბა ჩრდილოეთ ვიეტნამის მთელი რიგი პროვინციების დასახლებული რაიონები.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო სამეფოთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გადაჭრით დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების აღნიშნული ოქმქმედება და მოითხოვა დაუყოვნებლივ შეწყვეტოს რესპუბლიკის სუფევნტიტეტისა და უშიშროების ყოველგვარი ხელყოფა.

ამერიკის თეირანი
პრეზიდენტი ირანში

31 მაისი. (ხაკდესი). ირანის შაჰმა მოპამედ რეზა ფეჰლევიმ სადილი გამართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. ნიქსონის პატივსაცემად, რომელიც აქ ვიზიტად იმყოფება.

სადილზე სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა ნიქსონმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მოსკოვში გამართული ხაბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების დროს დიდი ძალიან დიდმნიშვნელოვანი შეთანხმებანი, რომელებმაც წვლილი უნდა შეიტანონ არა მარტო ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესებაში, არამედ მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებაში.

„ის, რაც ჩვენ გასულ კვირაში გავაკეთეთ, — ხაზგასმით აღნიშნა ნიქსონმა, მხოლოდ დასაწყისია. მოსკოვის მოლაპარაკებაზე არც ერთ მხარეს ფიქრადაც არ მოსვლია გაეყო მსოფლიო გავლენის სფეროებად ან დაემყარებინა რაიმე კონდომინიუმი. მოსკოვში უმაღლეს დონეზე ახლახან დამთავრებული მოლაპარაკება აუმჯობესებს მთელი მსოფლიოს ხალხთა მშვიდობის განმტკიცების შანსებს".

თავის სიტყვაში ირანის შაჰმა აღნიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსკოვში დადებულ შეთანხმებებს, განსაკუთრებით სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

შაჰმა გამოთქვა იმედი, რომ ეს შეთანხმებანი იქნება პირველი ნაბიჯი საერთაშორისო კონტროლდაქვემდებარებული საყოველთაო განიარაღების მიღწევის გზაზე და ნიადაგს მოუმზადებენ ისეთი ვითარების შექმნას, რომელიც საშუალებას აღმოფხვრის ომის წარმოქმნის საშიშროებას.

31 მაისი. (ხაკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. ნიქსონი, რომელიც აქ ოფიციალურ ვიზიტად იყო, დღეს თეირანიდან ვარშავაში გაფრინდა. მეჰრაბადის აეროდრომზე იგი გაეცალეს ირანის შაჰმა მოპამედ რეზა ფეჰლევიმ და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ჩილე: ჩილელებზე ამბობენ, რომ მუსიკა სისხლში აქვთ გამჯდარი. სწრაფ ცეკვებს თავისუფლების ხელისკვეთებით გამსჭვალული სიმღერები ცვლის.

ხურათზე: მუშები ასრულებენ ხალხური სიმღერას.

ბტა-საკდესის ფოტო.

ბონი
ნატოს საბჭოს სესია

1 ივნისი. (ხაკდესი). საკდესის ბონსპონდენტები ი. ბორისოვი და ვ. ივანოვი იუწყებიან: დამთავრდა ნატოს საბჭოს ორი დღის სესია, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის წევრი 15 სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრები.

დასკვნითს კომუნიკეში აღნიშნული და დიდი მნიშვნელობა მოსკოვის ამასწინანდელი მოლაპარაკებისა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს შორის.

„მინისტრები მიესალმნენ იმას, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და სსრ კავშირმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას რაკეტასწინააღმდეგო თავდაცვის სისტემათა შეზღუდვის დარგში ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ", — ნათქვამია კომუნიკეში. მათ მიაჩნიათ, რომ ეს დოკუმენტები „მნიშვნელოვნად განამტკიცებენ საერთაშორისო ნდობას და ამცირებენ ატომური ომის საფრთხეს". სესიის მონაწილენი მიესალმნენ აგრეთვე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების განზრახვას „აქტიურად განაგრძონ მოლაპარაკება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ".

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ საბჭოთა კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან დადებულ ხელშეკრულებათა კომუნიკეში ახასიათებენ როგორც „წვლილს ევროპაში დაძაბულობის შენელებისათვის".

სესიის მონაწილენი მაღალ შეფასებას აძლევენ დასავლეთ ბერლინის შესახებ ოთხმხრივი შეთანხმების დადებას და გამოთქვამენ კმაყოფილებას, რომ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა გადაწყვიტეს ყველი მოაწერონ დასკვნითს ოქმს ამ შეთანხმებების გამო. ისინი მიესალმებიან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ნორმალიზაციის დაწყებულ პროცესს.

კომუნიკეს გვიჩვენებს, რომ ნატოს ბლოკს აღარ შეუძლია უგულებელყოს ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა ევროპაში, რასაც მოითხოვენ ევროპის საზოგადოებრივობის ფართო წრეები. სესიის მონაწილენი გამოოქვამენ მზადყოფნას დაიწყონ მრავალმხრივი მოლაპარაკება უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის მომზადების შესახებ.

ამავე დროს კომუნიკეს ზოგიერთი პუნქტი მოწმობს, რომ ნატოს საბჭოს სესიის მონაწილენი ცდილობენ გაართულონ ასეთი თათბირის მუშაობა მის დღის წესრიგში მთელი რიგი ისეთი საკითხების შეტანით, რომლებსაც არა აქვთ უშუალო დამოკიდებულება ევროპის უშიშროების პრობლემებთან.

მხარს უჭერენ რა კომუნიკეში მშვიდობისა და დაძაბულობის შენელებას, სესიის მონაწილენი ამავე დროს დიად ტოვებენ გზას გამალებული შეიარაღების განგრძობისათვის. ისინი მოითხოვენ არ შეასუსტონ „აკაშირის თავდაცვითი ღონისძიებანი".

ბონი
ნატოს საბჭოს სესია

1 ივნისი. (ხაკდესი). ბონიდან ინფორმაციას ავრცელებენ: ბონში ჩავიდა ნატოს საბჭოს ორი დღის სესია, რომელშიც მონაწილეობენ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის წევრი 15 სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრები.

სესიის მონაწილენი მაღალ შეფასებას აძლევენ დასავლეთ ბერლინის შესახებ ოთხმხრივი შეთანხმების დადებას და გამოთქვამენ კმაყოფილებას, რომ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა გადაწყვიტეს ყველი მოაწერონ დასკვნითს ოქმს ამ შეთანხმებების გამო. ისინი მიესალმებიან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ნორმალიზაციის დაწყებულ პროცესს.

კომუნიკეს გვიჩვენებს, რომ ნატოს ბლოკს აღარ შეუძლია უგულებელყოს ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა ევროპაში, რასაც მოითხოვენ ევროპის საზოგადოებრივობის ფართო წრეები. სესიის მონაწილენი გამოოქვამენ მზადყოფნას დაიწყონ მრავალმხრივი მოლაპარაკება უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის მომზადების შესახებ.

ამავე დროს კომუნიკეს ზოგიერთი პუნქტი მოწმობს, რომ ნატოს საბჭოს სესიის მონაწილენი ცდილობენ გაართულონ ასეთი თათბირის მუშაობა მის დღის წესრიგში მთელი რიგი ისეთი საკითხების შეტანით, რომლებსაც არა აქვთ უშუალო დამოკიდებულება ევროპის უშიშროების პრობლემებთან.

მხარს უჭერენ რა კომუნიკეში მშვიდობისა და დაძაბულობის შენელებას, სესიის მონაწილენი ამავე დროს დიად ტოვებენ გზას გამალებული შეიარაღების განგრძობისათვის. ისინი მოითხოვენ არ შეასუსტონ „აკაშირის თავდაცვითი ღონისძიებანი".

ბუქარესტი
რუმინეთ-კუბის კომუნიკე

1 ივნისი. (ხაკდესი). რუმინეთისა და კუბის თანამშრომლობა ყველა სოციალისტურ ქვეყნასთან შეესაბამება ორივე ხალხის ინტერესებსა და მსოფლიო სოციალისტური სისტემის განმტკიცების საქმეს, რომელიც გადამწყვეტი ფაქტორია იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ რუმინეთ-კუბის კომუნიკეში. კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის ფ. კასტროს რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში ვიზიტის შესახებ.

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა და კუბა დადებითად აფასებენ საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის მიერ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან ხელმოწერილ ხელშეკრულებათა რატიფიკაციას, დასავლეთ ბერლინის შესახებ ოთხმხრივი შეთანხმების დადებას.

ბუქარესტი
ნიქსონი პოლონეთში

1 ივნისი. (ხაკდესი). გუშინ ვარშავაში პოლონეთის ხახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის გ. იაბლონსკისა და პოლონეთის ხახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პ. იაროშევიჩის მოწვევით ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. ნიქსონი მეუღლითურთ.

მიუწყო პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. გერეკი და სხვა ოფიციალური პირები, პ. იაროშევიჩმა და რ. ნიქსონმა სიტყვები წარმოთქვეს.

პ. იაროშევიჩმა განაცხადა, რომ პოლონეთი მიესალმება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და ხაბჭოთა კავშირის სხვა ხელმძღვანელების და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. ნიქსონის მოლაპარაკების ისტორიულ შედეგებს და სავსებით უჭერს მხარს მათ. ჩვენ მიგვაჩნია, თქვა მან, რომ მოსკოვში ხელმოწერილ შეთანხმებებს ფუნდამენტალური მნიშვნელობა აქვთ და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის ყველა ხალხის ინტერესების საკეთილდღეოდ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებმა შედეგები პრაქტიკულად ადასტურებენ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს და კონფრონტაციის ხანიდან მოლაპარაკების ხანაზე გადასვლის ნიშანს წარმოადგენენ.

რ. ნიქსონმა თქვა, რომ უკანასკნელ კვირაში მოსკოვში გადაიდგა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯები გამაღებული შეიარაღების შემცირებისა და — როგორც იგი იმედოვნებს — საბოლოოდ შეწერებისათვის. მოსკოვის შეთანხმებებს განაცხადა მან, არსებითი მნიშვნელობა აქვთ და „ალოლებენ ევროპისა და პოლონეთის მშვიდობის უმნიშვნელოვანეს უზრუნველყოფის მომენტს. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ უახლოეს თვეებში იგი ახალ წარმატებებს მოელის მთელ ევროპაში თანამშრომლობის ახალი პლატფორმის შექმნის საქმეში. რ. ნიქსონმა თქვა, რომ სრულიად ევროპის თათბირს თანამშრომლობისა და უშიშროების საკითხებზე, როგორ იგი გაიმართება, წარმატების რეალური შანსი უნდა ექნეს.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ გ. იაბლონსკიმ დღეს ბელვედერის სასახლეში მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. ნიქსონი. დღესვე დაიწყო პოლონეთ-ამერიკის მოლაპარაკება. პოლონეთის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. გერეკი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პ. იაროშევიჩი, ამერიკის მხრივ — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. ნიქსონი და პრეზიდენტის თანამემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში ჰ. კისინჯერი.

ტელ-ავივის აეროპორტში

ლონდონი. 31 მაისი. (ხაკდესი). ხამმა შეიარაღებულმა პირმა, რომლებიც ისრაელში რომიდან ჩავიდნენ საფრანგეთის ავიაკომპანიის „ერ-ფრანსის" თვითმფრინავით, სროლა აუტეხეს ტელ-ავივის საერთაშორისო აეროპორტში მყოფ მგზავრებს.

შედეგად დახოცილია 26 და დაჭრილია 70-ზე მეტი კაცი, ტერორისტთაგან ორი მოკლულია, ხოლო მესამე შეიპყრო ისრაელის პოლიციამ. დაპატიმრებულმა, ეროვნებით იაპონელმა, განაცხადა, რომ ერთ-ერთ ექსტრემისტულ ორგანიზაციას ეკუთვნის.

ნიუ-იორკი
თანამგზავრი მთვარეზე დაეცა

1 ივნისი. (ხაკდესი). მთვარის პატარა ხელოვნური თანამგზავრი, რომელიც 24 აპრილს ამერიკული „აპოლონ-16" კოსმოსური ხომალდიდან გაუშვეს, მთვარის ზედაპირზე დაეცა და ვერ შეასრულა დასახული პროგრამა.

მან მხოლოდ 36 დღე იარსება. ეს გამოაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულმა სამმართველომ.

თანამგზავრის არსებობის ასე უდროოდ შეწყვეტას იმით ხსნიან, რომ მისი გაშვების დროს კოსმონავტებმა ვერ გაბარდეს კოსმოსური ხომალდის ორბიტა გაანგარიშებულ — მთვარის ზედაპირიდან 55-85 მილ სიმაღლემდე „აპოლონ-16" ხომალდის მთავარი ძრავის მართვის სისტემაში უწესრიგობის გამო.

რაფალკინდი
სისხლ სამღერელი შეტაკებანი

1 ივნისი. (ხაკდესი). პაკისტანის ჩრდილო დასავლეთ პროვინციაში სისხლისმღვრელი შეტაკებები მოხდა მიწათმფლობელებსა და ჭვრილ მოჯარეთა შორის. არის მსხვერპლი. როგორც პაკისტანის პრესის სააგენტო იუწყება, პოლიცია გლეხებს აპატიმრებს.

ბუქარესტი
ბონი
ნატოს საბჭოს სესია

1 ივნისი. (ხაკდესი). ბონიდან ინფორმაციას ავრცელებენ: დამთავრდა ნატოს საბჭოს ორი დღის სესია, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის წევრი 15 სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრები.

ბონი
ნატოს საბჭოს სესია

1 ივნისი. (ხაკდესი). ბონიდან ინფორმაციას ავრცელებენ: ბონში ჩავიდა ნატოს საბჭოს ორი დღის სესია, რომელშიც მონაწილეობენ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის წევრი 15 სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრები.

ინდოეთი
სიცხეები ინდოეთში

დელი. 1 ივნისი. (ხაკდესი). ინდოეთის დედაქალაქი კვლავ მოექცა სიცხის ზოლში, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთის რაიონებიდან გრძელდება. დღეს სიცხემ მიაღწია 44 გრადუსს ჩრდილოეთში. სიცხე არ ცხრება ანდჰრა-პრადეშისა და ბიჰარის შტატებში, სადაც თერმომეტრი 45 გრადუსზე დაბლა არ ჩამოდის. კვლავ ძალიან ცხელა რაჯასტანის (47 გრადუსი), პენჯაბისა და ჰარიანის შტატებში. მზის დაკვრისაგან დახოცილთა რიცხვმა 500 კაცს გადააჭარბა.

საჰაერო პატასტროფები

□ ბონი. 1 ივნისი. (ხაკდესი). აუგსბურგის რაიონში კატასტროფა განიცადა დასავლეთ გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალების „სტარფაიტერის" ტიპის თვითმფრინავმა. პილოტი გადარჩა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ამ ბოლო წლების მანძილზე სულ 153 „სტარფაიტერი" დაკარგეს.

□ ნიუ-იორკი. 1 ივნისი. (ხაკდესი). ტეხასის შტატის ქალაქ ფორტ-უერტის რაიონში „დს-9" ხამგზავრო თვითმფრინავის კატასტროფის შედეგად ოთხი კაცი დაიღუპა.

თვითმფრინავზე, რომელიც „დელტა ერლაინსის" საავიაციო კომპანიას ეკუთვნოდა, წვრთნას გადიოდა ეკიპაჟი და ამიტომ მასში მგზავრები არ იყვნენ.

□ ტოკიო. 1 ივნისი. (ხაკდესი). ბოკაიდოს კუნძულზე კატასტროფა განიცადა იაპონიის ხამგზავრო თვითმფრინავმა „ჩესნა-402". 10 მგზავრი და თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრები დაიღუპნენ.

ფაქტები

● **ბონში ჩავიდა** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სტატს-მდივანი მ. კოლი. მ. კოლი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის უწყების სტატს-მდივანი ე. ბარი განიხილავენ ტექნიკურ საკითხებს იმასთან დაკავშირებით, რომ ძალაში შევიდა ორი რესპუბლიკის სატრანსპორტო ხელშეკრულება.

● **სან-ხოსეში (კალიფორნია) (ტასი)** მთავრდება ხელისუფალთა მიერ ინსპირირებული სამარცხვინო სასამართლო პროცესი ანჯელა დევისის საქმის გამო. ამ კვირის დამლევისათვის ამერიკელი კომენტატორ „ხალხის" „ხალხს" გადასცემენ ნაფიც მსაჯულთა ჟიურის განსახილველად.

● **ამერიკისა და საიგონის** ადმინისტრაციის დელეგაციებმა კვლავ უარყვეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის წინადადება ვიეტნამის შესახებ პარიზის თათბირის სხდომის განახლების თაობაზე.

● **ინგლისის ჯარებმა** 70-ზე მეტი კაცი დააპატიმრეს ბელფასტის არდონის კათოლიკურ გეტოში. დაპატიმრებულთა შორის არიან 70 წელზე მეტი ხნის მოხუცები და 15 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდები. დაპატიმრების დროს არდონის ბენხოვრებლებს სცემეს. ერთ-ერთ მათგანს საავადმყოფოში 14 ნაკერი დაადეს თავზე.

● **თურქეთის ტერიტორიაზე** დაიწყო სენტოს წევრი ქვეყნების საჰაერო თავდაცვის წვრთნა კოდური სახელწოდებით „შაპპაზ-72". წვრთნაში მონაწილეობენ თურქეთის, ირანისა და ინგლისის საჰაერო თავდაცვის, აგრეთვე აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ძალების ნაწილები.

● **ჩრდილოეთ კაროლინის შტატის** ქალაქ კონკორდში (აშშ) გრძელდება ზანგთა ძლიერი მღელვარება, რომელიც ერთი კვირის წინათ დაიწყო მას შემდეგ, როცა თეთრკანიანმა რასისტმა ზანგი დაჭრა.

● **ბოლივიის დედაქალაქ ლა-პასიდან** მიღებული ცნობების თანახმად, ამჟამად ბოლივიაში პოლიტიკურ პატიმართა რიცხვი 2.500-ს აჭარბებს.

ფაქტები

● **ნეაპოლის პროკურორმა** სასაზარლო საქმე აღძრა „ფიატის" საავტომობილო კონცერნის 85 მოხელის წინააღმდეგ, რომლებსაც ბრალად დასდო, რომ „უკანონოდ უთავლთავლებენ" მუშებისა და მოსამსახურეების ბარად ცხოვრებასა და პოლიტიკურ მრწამს.

ფაქტები

ბონი
ნატოს საბჭოს სესია

1 ივნისი. (ხაკდესი). საკდესის ბონსპონდენტები ი. ბორისოვი და ვ. ივანოვი იუწყებიან: დამთავრდა ნატოს საბჭოს ორი დღის სესია, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის წევრი 15 სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრები.

ბონი
ნატოს საბჭოს სესია

1 ივნისი. (ხაკდესი). ბონიდან ინფორმაციას ავრცელებენ: ბონში ჩავიდა ნატოს საბჭოს ორი დღის სესია, რომელშიც მონაწილეობენ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის წევრი 15 სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრები.

ბუქარესტი

აბესალომი იმარჯვებს

ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე

ლენინგრადი. 1 ივნისი. (ტელეფონით). ქართული საოპერო მუსიკის კლასიკური ზაქარია ფალიაშვილი იმ ხელოვანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც მთელი სისრულით გამოსახატეს შრომელიური ხალხის ფიქრები და მისწრაფებები, საუკეთესო იდეალები და ტრადიციები. ამიტომ ხალხმა შეიყვარა მათი შემოქმედება. ხოლო როცა ხელოვანი ხალხის სიყვარულით არის მადლმოსილი, იგი ჭეშმარიტად უკვდავია.

შარშან საქართველოში ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო წელი იყო. წლევანდელს კი თამამად შეიძლება ვუწოდოთ მისი უსიკვდილო ტრიუმფის წელი. ერთი კვირის წინათ ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ პირველად აღლერეს საბჭოთა უკრაინის დედაქალაქ კიევში. თითქმის ერთდროულად, 26 მაისს ოპერა წარმოდგენილ იქნა ლენინგრადში, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი სახელგანთქმული საოპერო თეატრის, კიროვის სახელობის ხელოვნებიდან მეწინავე აკადემიური თეატრის სცენაზე. მაღი აბესალომს მოუსმენენ პოლონეთში, ქალაქ ლოძის საოპერო თეატრში. იგნისის ბოლოსათვის კი ხარკოვში დაიდგმება ოპერა „დაისი“. თბილისისა და ქუთაისის შემდეგ ლენინგრადი მეხუთე ქალაქია, სადაც აბესალომ და ეთერი საოპერო ხელოვნების მოყვარულთა და დამფასებელთა ნამდვილი სიხარულის წყარო გახდა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის ხარეთიდ ფალიაშვილის ოპერის პირველი დადგმა ლენინგრადში რუსულ ენაზე. მანამდე ლენინგრადელ მაყურებელს ოპერა მოუსმენია მხოლოდ ქართულ ენაზე თბილისის საოპერო თეატრის გასტროლების დროს.

31 მაისს ლენინგრადში გაიმართა „აბესალომ და ეთერის“ მეორე წარმოდგენა. სპექტაკლის მუსიკალური ხელმძღვანელი და დირიჟორია სიმფონიური და საოპერო მუსიკის გამოჩენილი მოღვაწე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ძ. სიმეონოვი, ხოლო დამდგმელი რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რ. ტიხომიროვი. ეროვნული კოლორიტის ცოდნითა და რეალისტური ტრადიციული ხერხებით აწის გადაწყვეტილი მსატვრული გაფორმება (ავტორი რსფსრ სახალხო მხატვარი ი. სემასტიანოვი). ქნების ღირსი არიან ქორმეისტერები რსფსრ სახალხო არტისტი, ა. ამურინი, ბ. შინდერი და ლ. პეტლიკოვი. ჭიროვრაფიული ნაწილი დადგმულია ა. კუკლოვსისა და ა. ძნელაძის მიერ. ლიბრეტოს რუსული ტექსტის ავტორია ბ. კვალიაშვილი. აბესალომს ორი შემსრულებელი ჰყავს — ა. კლეშნიკოვი და ა. კრეპინასი. ეთერის პარტიას მღერის ნ. შუბინა, ფოროსმანისას — ნ. ბაღლოშინი. ოპერის დანარჩენ პარტიებს ასრულებენ რსფსრ სახალხო არტისტი, საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი რ. ბარანოვა (ნათელა), რსფსრ დამსახურებული არტისტები, საკავშირო კონკურსის ლაურეატები ი. ნავოლოჩნიკოვი (აბთო მეფე), ბ. ზაკეა (თანდარუსი), საკავშირო კონკურსის ლაურეატი ე. ზიმინკო (მარიხი), ოპერის სოლისტები ნ. ტერენტიევა და ი. ხილანტიევი.

— ვიდრე „აბესალომ და ეთერის“ დადგმას გადავწყვეტდით,— გვითხრა სპექტაკლის დაწყების წინ დამდგმელმა რეჟისორმა რ. ტიხომიროვმა, — ბანაბდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ათი ეროვნული ოპერა მოვიხმინე. ფალიაშვილის ოპერას ჩვენი შეთანამედროვინი კოლექტივი ერთსულოვნებით შეხვდა. აბესალომი ეროვნული საოპერო მუსიკის კლასიკაა. უდიდესი პროფესიონალიზმი, შესანიშნავი ვოკალური მუსიკა, რომელიც თავისი ფსიქიით ღრმად არის გაჯერული ხალხური მელოდიები, საზეიმო ორკესტრირება, ფართო გუნდები, ხალხური ეპოსზე დაყრდნობილი მასშტაბურობა ყოველ პირველს იძლეოდა ასპეტი ნამდვილად დიდი საოპერო სპექტაკლის შექმნისათვის, რომელიც დიდსულ ადამიანს, ადამიანურ ღირებულებებს ჩვენი თეატრის ისტორიაში.

